ანოტაცია

დინდგელის მალამო (Propolis ointment)

გარეგანი გამოყენების მალამო, გამოიყენება ვეტერინარიაში

შემადგენლობა

მალამოს 1 გ შეიცავს აქტიურ ნივთიერებას: დინდგელის ექსტრაქტს 24 მგ

აღწერა: ყვითელი ან მოყვითალო-ყავისფერი ფერის მალამო სუსტი სპეციფიური სუნით

ფარმაკოლოგიური თვისებები

გარეგანი გამოყენების პრეპარატი სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ძაღლების და კატებისთვის. ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, აუმჯობესებს ჭრილობების შეხორცებას.

კანზე წასმისას მალამო განიცდის დიფუზიას ცხიმის და ოფლის ჯირკვლებში, თანდათანობით შეიწოვება, ხელს უწყობს ანთების პროდუქტების გაწოვის დაჩქარებას. ასტიმულირებს გრანულაციური ქსოვილების ზრდას, ჭრილობის ეპითელიზაციას.

გამოყენების ჩვენებები

ინფიცირებული ჭრილობები, დამწვრობები, ეგზემები, ვაგინიტები, მასტიტები, დერმატიტები, ბურსიტები, ნაწიბურები, ნახეთქები.

გვერდითი მოვლენები

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება. შეიძლება აღინიშნოს მომატებული მგრძნობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

უკუჩვენებები

არ აღენიშნება.

სამიზნე სახეობა: სასოფლო-სამეურნეო ცხოველები, ძაღლები და კატები

გამოყენების მეთოდი, დოზირება

მალამოს უსმევენ თხელ ფენად სუფთა თეთრ ქსოვილზე ან დოლბანდზე, რომელსაც შემდგომ დააფენენ სხეულის დაზიანებულ ადგილას, გადახვევებს და შეზელვას აწარმოებენ დღეში 2-3 ჯერ გამოჯანმრთელებამდე.

მალამოს მსუბუქად შეაზელენ უშუალოდ დაზიანებულ კერას და მის გარშემო ქსოვილებს, ასევე საჭიროებისამებრ შეიძლება მისი ტამპონების გამოყენებაც.

განსაკუთრებული მითითებები: ჩლიქების დაზიანების დროს რეკომენდებულია მალამოს გამთბარი საფენი.

სპეციალური გაფრთხილებები

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები, რომელიც უნდა დაიცვან პირებმა, რომლებიც იყენებენ ვეტერინარული პრეპარატს ცხოველებზე: პრეპარატთან მუშაობისას უნდა დაიცავათ პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესები.

ჭარბი დოზირება: ზედოზირების სიმპტომები არ გამოვლენილა

მოქმედების სპეციფიკურობა: სპეციფიკური ეფექტები პირველი გამოყენებისა და მოხსნისას დადგენილი არ არის.

ლაქტაცია და მაკეობა: პრეპარატი გამოიყენება მაკეობისა და ლაქტაციის პერიოდში.

ლოდინის პერიოდი: 0 დღე

შენახვის პირობები: პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არა უმეტეს 20°C-ზე.შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

გამოშვების ფორმა: 20 გ მალამო პოლიეთილენის ტუბში და 0.5 კგ მალამო პოლიეთილენის კონტეინერში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტეკსი, საქართველო, თბილისი, იუმაშევის ქ.#8